ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

NOSCE TE IPSUM

საქართველო, ქ. თბილისი 0162, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი: 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

ქ.თბილისი 31. 12. 2013წ

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-00/39

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" მობილობის ფარგლებში დამატებით გასავლელი სასწავლო/სამეცნიერო კომპონენტების სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 30 დეკემბრის (სხდომის ოქმი №15) დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მობილობის საფუძველზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან/ საგანმანათლებლო პროგრამიდან უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში „მიმღები საგანმანათლებლო პროგრამა") გადმოსვლის დროს სტუდენტი ვალდებულია სწავლის წლიური საფასურის გარდა, დამატებით აანაზღაუროს მიმღები საგანმანათლებლო პროგრამით ჩარიცხვის სემესტრამდე გეგმიურად გათვალისწინებული და აღიარების კომისიის დასკვნის საფუძველზე აღიარებული სასწავლო/სამეცნიერო კომპონენტების კრედიტების მოცულობებს შორის არსებული სხვაობა (შემდგომში „დამატებით გასავლელი კომპონენტები"), რომელიც სტუდენტს დაეკისრება დამატებით გასავლელ კომპონენტებზე რეგისტრაციისას;
2. დამატებით გასავლელი კომპონენტების სწავლის საფასური განისაზღვროს მათთვის განკუთვნილი კრედიტების შესაბამისად და ერთი კრედიტი განფასდეს, როგორც შესაბამისი სტუდენტის სწავლის წლიური საფასურის განაყოფი ერთი სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტის საშუალო დატვირთვაზე - 60 კრედიტზე;
3. დამატებით გასავლელი კომპონენტების სწავლის საფასურის დადგენისას ერთი კრედიტის განფასების წინამდებარე ბრძანების მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული წესი გავრცელდეს ამ ბრძანების ამოქმედების შემდგომ, მობილობის წესით უნივერსიტეტში გადმოსული სტუდენტების მიმართ; ხოლო, ამ ბრძანების ამოქმედებამდე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის დამატებით

გასავლელი კომპონენტების სწავლის საფასურის დადგენისას, ერთი კრედიტი განფასდეს 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით;

4. თუ აღიარების კომისიის მიერ აღიარებული სასწავლო კომპონენტებისათვის განკუთვნილი კრედიტების ოდენობა მეტია ჩარიცხვის სემესტრამდე მიმღები საგანმანათლებლო პროგრამით გეგმიურად გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტებისათვის განკუთვნილი კრედიტების ოდენობაზე, სტუდენტს უფლება აქვს, ზედმეტი კრედიტების მოცულობით, დამატებით გაიაროს მიმღები საგანმანათლებლო პროგრამით გაუთვალისწინებელი, უნივერსიტეტის სხვა აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კომპონენტები, დამატებითი ანაზღაურების გარეშე.
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოთ: მთავარ ბუღალტერს (ქ-ნი ნაზიკო სხულუხია), ხარისხის უზრუნველყოფისა (ბ-ნი ნოდარ პავლიაშვილი) და სასასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურებს (ბ-ნი ემილ კოპალიანი);
6. ბრძანება გასაცნობად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნების მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; ენების ცენტრს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;
7. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი, მეუფე + იაკობი იაკობი (იაკობიშვილი)